პროექტი - „აგორა საქართველო - ორმაგი ლანდშაფტის კვლევა“

პროექტის ორგანიზატორი: ბორდოს მუნიციპალიტეტი, საფრანგეთის ინსტიტუტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი: ბორდოს მუნიციპალიტეტი, ფრანგული ინსტიტუტი პარიზში, ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის მიზანი: პროექტი მიზანია, ფრანგმა და ქართველმა სტუდენტებმა შეისწავლონ, თუ როგორ შეიძლება ურბანულ (ლანდშაფტის) პროექტმა კონკრეტული სცენარით და კარგად განსაზღვრული ფუნქციით შეცვალოს ბუნებრივი გარემო, რომლის სიმბოლური მაგალითია დასავლეთ საქართველოში არსებული ორი ქალაქი - ჭიათურა და წყალტუბო. ეს ორი ქალაქი - ერთი, რომელიც განკუთვნილი იყო წარმოებისთვის, ხოლო მეორე - საკურორტოდ, სრულიად საპირისპირო ფუნქციის მატარებელია. მთებში არსებული მანგანეცის მოსაპოვებლადაც შეიქმნა საბაგიროების არაჩვეულებრივი ქსელი, რომელმაც ხაზი გაუსვა ექსტრემალურ გეოგრაფიას და მინერალური წყაროები, რომელმაც აიძულა საზოგადოება, შეენარჩუნებინა მწვანე გარემო და შეეძინა საკურორტო ზონის ფუნქცია.

ამ ორი ქალაქის შესწავლის შედეგად მივიღებთ შემაჯამებელ „ორმაგ“ კვლევას, რომლის საშუალებითაც დავინახავთ, თუ როგორ ხდება ურბანული (ლანდშაფტური) პროექტის დაკვირვების შედეგად ადგილის დანიშნულების გამოვლენა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილა საველე სამუშაოები ჭიათურასა და წყალტუბოში ფრანგ კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად. სტუდენტურმა ჯგუფმა უნდა შეისწავლოს კონკრეტულ ჩარჩოში მოქცეული, ორივე ქალაქის ტოპოგრაფია, გეოლოგია, ჰიდროლოგია, ვეგეტაცია, არსებული ნაგებობების განლაგება და ინფრასტრუქტურა. შემდეგ დააფიქსიროს ცალკე რუკაზე მნიშვნელოვანი (გამორჩეული) ელემენტები თითოეული ქალაქისთვის და ამ მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყენებით შექმნან ვიზუალური მასალა (კვლევითი პროექტი).

ოქტომბრის თვეში დაგეგმილია ქართველი სტუდენტების 10-დღიანი სამუშაო ვიზიტი ქალაქ ბორდოში.

პროექტის დასასრულს, ერთწლიანი თანამშრომლობის შედეგად მიღებული სტუდენტური ნამუშევრები გამოიფინება „აგორა“ ბიენალეზე ქალაქ ბორდოში.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ესტუმრებიან:

Mr. Bas Smets – ბიენალე „აგორას“ კურატორი - არქიტექტორი, სახელოსნო - Bureau Bas Smets

Mrs. MichèleLaruë-Charlus – არქიტექტურის და ურბანისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, ბორდოს მუნიციპალიტეტი;

Olivier Brochet - არქიტექტორი, ბორდოს არქიტექტურის და ლანდშაფტის სახელმწიფო სკოლის (უნივერსიტეტის) პროფესორი (école nationale supérieure d'architecture et de paysage de Bordeaux)

Marc Barani – არქიტექტორი, სახელოსნო - Atelier Barani

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge